# ხელშეკრულება

24.04.2018

ქ.თბილისი

ერთი მხრივ შპს „ტელექს" ს/კ 404974863 (შემდგომში - ,,მიმწოდებელი'') დირექტორის მოადგილის მაია ჭუმბურიძის სახით და მეორე მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ახკერპის საჯარო სკოლის (შემდგომში-შემსყიდველი) მისი დირექტორის როზა ავაქიანის სახიით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ,წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია ბიუჯეტის შემოსავლებით, წიგნების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

## 2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია: წიგნები ბიბლიოთეკისათვის

2.2. კლასიფიკატორი: CPV 22110000

## 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა 70.00 ლარი.

## 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან ყოველთვიურად შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე.

4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია საქართველო, მარნეული, მარნეული, რესურს ცენტრი, შენობა: 0 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციის მიწოდებაც.

## 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

## 6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

6.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაუერბა მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 4.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

**7.მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

7.1. **შემსყიდველს უფლება აქვს:**

71.1. შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან:

7.2. **შემსყიდველი ვალდებულია:**

7.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7.2.2. უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

**7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:**

7.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

**7.4. მიმწოდებელი ვალდებული:**

7.4.1. მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 5(ხუთი) სამუშაო დღისა.

**8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას**

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობით.

8.2. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლბით.

8.3. შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდის ვადის დარღვევისათვის, მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

**9.ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 30 კალენდარული დღის ვადაში

## 10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. მხარეთა შორის წარმოშობილი დავები გადაწყვეტილ უნდა იქნეს ურთიერთმოლაპარაკების გზით.

10.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 11. სხვა პირობები

11.1. არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

*112. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე* ორ ეგზემპლარად და გადაეცა მხარეებს.

## 12.მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

*დამკვეთი საჯარო სამართლის იურიდიული პირი მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ახკერპის საჯარო სკოლა*

*მის:* საქართველო, მარნეული, მარნეული, რესურს ცენტრი, შენობა: 0

*ს/კ* 234223532

*დირექტორი:*

როზა ავაქიანი

მიმწოდებელი: შპს ტელექს

მის:თბილისი, ც.დადიანის № 7

ს/კ: 404974863

ტელ: 2159191

საქართველოს ბანკი

ა/ა **GE49BG0000000297157100**

დირექტორის მოადგილე :

**მაია ქუმბურიძე**

**მიღება ჩაბარების აქტი**

ქ.თბილისი 24.04.2018

ჩვენ,ქვემოთ ხელისმომწერნი,ერთის მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ახკერპის საჯარო სკოლა (შემდგომში-შემსყიდველი) მისი დირექტორის **როზა ავაქიანის** სახით და მეორეს მხრივ შპს „ტელექსი“ (შემდგომში-მიმწოდებელი),მისი დირექტორის მოადგილის მაია ჭუმბურიძის სახით ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ,რომსაჯარო სამართლის იურიდიული პირი მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ახკერპის საჯარო სკოლამ ჩაიბარა ,ხოლო „შპს ტელექსმა’“ გადასცა 2018 წლის 24 აპრილს დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული 70.00 ლარის წიგნები.

ჩაიბარა

როზა ავაქიან

ჩააბარა:

მაია ჭუმბურიძე